გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია" პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ვეძებ ფრანგულის ენის

გაკვეთილებს.

მსურველებს შეუძლიანთ ამბავი შეიტყონ ჩიმიშკიანის შენობაში, პირველის ნაგორნის ქუჩის ბოლოს. პეტრე მირიანაშვილი

(10—5)


ტფილისი, 11 ივლისი

მას შემდეგ, რაც გერმანიის ტახტზე ავიდა ვილჰელმ მეორე, ევროპის საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობამ თითქო ფერი და მიმართულება იცვალა. ვილჰელმ პირველისა და ფრიდრიხის მესამის დროს გერმანია, ავსტრიაზე დაიმედებული, მარჯვნივ და მარცხნივ მრისხანე თვალით იყურებოდა... ამ მიმდინარეობას პოლიტიკისას მოჰყვა ის, რომ რუსეთი დაუახლოვდა გერმანიას, გერმანიის იმპერატორი ესტუმრა რუსეთის იმპერატორს და ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთისა და გერმანიის მეგობრობა მტკიცე და ხანგრძლივია. ამ ორს სახელმწიფოს, მეტი გზა არ არის, ავსტრიაც უნდა მიემხროს, რადგანაც იმისთვის ყოვლად შეუძლებელია ხელიდგან დაუსხლტეს გერმანიას და რაკი გერმანია რუსეთს დაუახლოვდა და დაუმეგობრდა, ავსტრიაც ძალაუნებურად რუსეთს უნდა მოურიგდეს, თუმცა დღემდის ამას არც-კი ჰფიქრობდა. როგორც ჰხედავთ, მთელი საპოლიტიკო ხერხი და ოსტატობა, რომელიც ვილჰელმ პირველის დროს დაიხარჯა, იმაზე იყო მიმართული, რომ გერმანიას რუსეთის გული მოეგო, და ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ საფრანგეთი მარტოხელად დაეტოვებინათ, რათა მშველელი და მხსნელი არავინ აღმოუჩნდეს...

დღევანდელს საქმეთა მსვლელობას თუ ყურს ვათხოვებთ, შესაძლოა შევნიშნოთ, რომ გერმანიას თავისი გულის საწადელი, თუ სრულიად არა, ნახევრად მაინც შეუსრულდა: ავსტრია წინადაც და ეხლაც იმის ხელშია, რუსეთის გულიც მოიგო, იტალიაზედაც დაიმედებულია. მაშასადამე, საფრანგეთს ძლიერ სახელმწიფოთა შორის არავინა ჰყავს მომხრე და მოსარჩლე. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ თუ ვინიცობაა გერმანიასა და საფრანგეთს შუა ომი ასტყდა, გერმანია და საფრანგეთი მარტოდ-მარტო შეემკლავონ ერთმანეთს ბრძოლის ველზე.

მართალია, გერმანია მაინცა და მაინც თავაზიანად არასოდეს არ ეპყრობოდა საფრანგეთს, მაგრამ დღე ს იქით კიდევ უფრო თამამად და გაბედულად იმოქმედებს, რადგანაც კარგად იცის, რომ საფრანგეთს არც ერთი ძლიერი მომხრე და მოსარჩლე არა ჰყავს და რომ აუცილებლად საჭიროა საფრანგეთს ანგარიში გაუსწოროს. საფრანგეთსაც კარგად ესმის თავისი მდგომარეობა და ამიტომაც მუდმივ იმასა სცდილობს, რომ საკუთარი ძალ-ღონე შემოიკრიბოს, გამოიანგარიშოს და მხნედ და მამაცად გაემკლავოს ბრძოლის ველზე მრისხანე და ძლიერს მოპირდაპირეს. ამ უკანასკნელს დროს საფრანგეთში ბევრსა სწერენ იმაზე, თუ რა ხასიათი ექმნება მომავალს ომს საფრანგეთსა და გერმანიას შუა. ჩვენ რამდენჯერმე მოგვ ხსენებია მკითხველთათვის, რომ გერმანიისა და საფრანგეთის სამხედრო ძალ-ღონე თითქმის უდრის ერთმანეთს, რომ ორსავე სახელმწიფოს დიდ-ძალი თოფ-იარაღი და ჯარი მზადა ჰყავსთ, მრავალი ციხე-სიმაგრე გაწყობილი და გამზადებული აქვსთ. მცოდნე კაცები ამბობენ, რომ ომს წინანდელის ომის ხასიათი არ ექმნება. ეხლა შეუძლებელია, ჯარმა ცოტას ხნის განმავლობაში დიდი მანძილი გაიაროს, ზედიზედ რამდენჯერმე გაიმარჯვოს, რადგანაც ყოველგნით მოპირდაპირის ჯარი და ციხე-სიმაგრე დახვდება კარგად გაწყობილი და გამზადებულიო. რადგანაც ორივე მოპირდაპირე სამხედრო ძალ-ღონით თითქმის თანაბარნი არიანო, ამიტომ შეუძლებელია ერთი მეორის სამფლობელოში შევიდეს და მუსრი გაავლოსო. ამიტომაც მოპირდაპირენი ერთმანეთს საზღვრიდგან ვერ დასძრავენ და იქვე უნდა ეომონ ერთმანეთსაო. ომი ხანგრძლივი და სასტიკი იქნება და ამის დასასრული იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რომელს მხარეს უფრო ადრე შემოელევა ჯარი და საომარი მასალაო. რადგანაც ორივე მოპირდაპირე თითქმის თანაბრად ძლიერნი არიან, დაბეჯითებით არავინ იცის, რომელი უფრო ადრე გატყდება წელში, და ამიტომაც წინასწარმეტყველობაც ყოვლად შეუძლებელია.

პატარა ბელგიამ, რომელსაც ეშინიან, რომ იგი ბრძოლის ველად არ გაჰხადონ, გაამაგრა თავისი საზღვრები გერმანიის მხრით. ამ აზრით ბელგიამ ლიუტიხი და ნამიური ძალიან გაამაგრა და ასი ათასი კაცი მზადა ჰყავს გერმანიის საზღვარზე, და თუ ვინიცობაა გერმანიამ განიზრახა ბელგიის გადათელვა, ბელგია იძულებული იქნება საფრანგეთთან ერთად გერმანიას შეებრძოლოს.

გერმანიასა და საფრანგეთს წინდაწინვე გამოძიებული და შესწავლული აქვსთ ყოველივე შემთხვევა და გარემოება ომიანობისა; ორივე სახელმწიფო კარგადა ჰგრძნობს რომ ომი სასტიკი და შეუბრალებელი იქნება, მაგრამ რა გაეწყობა, ორსავე მოპირდაპირეს კარგად ახსოვსთ, რომ „არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა".

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენის დრამატიულის თეატრის კომიტეტი უკვე შეუდგა მომავალ სეზონისათვის მზადებას. გარდერობი უნდა განაახლონ და რეპერტუარსაც ამზადებენ. სეზონს პირველ ენკენისთვიდამ დაიწყებენ. როგორც გვითხრეს, რეპერტუარი თითქმის სულ ახალ პიესებისაგან არის შედგენილი. სხვათა შორის წარმოდგენილი იქმნება: ოტელო, „Шпильки и сплетни", „Вторая молодость", ბ-ნის სუნდუკიანცის ახალი პიესა და სხვანი.

*** ბ-ნ ი. მაჩაბელს გადაუთარგმნია საყმაწვილო წიგნაკი „საკვირველნი ცხოველნი". ამ წიგნის გამოცემას ბ-ნი გ. ტატიშვილი აპირებს. ამ ჟამად ბ-ნი ტატიშვილი სურათებს ამზადებს, რიცხვით ოც-დაექვსს. ეს სურათები ამ წიგნში იქნება ჩართული.

*** გრ. ჩარკვიანის სტამბაში იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „კრებული არითმეტიკულის ამოცანე-

## ფელეტონი

### ბნელო

(ოთხრო)

### V*)

#### ღამის მეხრეები

ერთ სალამოს, მაისში, ორი ღამის მეხრე გააყოლებდა კვალში წყალ-დალეევინებულ გუთნის ხარს. თეთრი წამოსასხამი ნაბდები გადაეკიდნათ მხარზე გადებულ დიდ ჩიმბახებზე და აქეთ-იქით ყანის პირებში უდგნენ. ხარბი გამოვიდა კვლიდამ და შეეფინა ერთ ფერდობს, რომელზედაც ხშირად იყო მოდებული ტყის პატარ-პატარა კორომები მაყვლისა და კრიკინის ბარდებით. მეხრეები დაწინაურდნენ და წამოწვნენ სერზე, საცა თავდებოდა ფერდობი. ფერდობს ქვემოდ გაშლილი მინდორი შემოსილი იყო დასათვალთვალებლად მომზადებულ ჯეჯილებით, რომელსაც წყნარი ნიავი სასიამოვნოდ არხევდა. აყვავებულის კრიკინისა და მაყვლის ბარდები უხვადა ჰფენდნენ არე-მარეს სასიამოვნო სუნნელოვანებას; მგოსანნი ბარდებისა თავისის ტკბილის გალობით ატკბობდნენ იქაურობას.

ერთი მეხრეთაგანი დიდხანს იყურებოდა მინდვრისაკენ და სიამოვნებდა მღელვარე ჯეჯილებით. შემდეგ გადაჰხედა ფერდობზე შემოფენილ გუთნის ხარს და წამოიძახა:

— აი, შენი ჭირიმე, შენი, ჭერანავ, რო გულიანათა ჰბოჰამ! ძოვე, შე ქედ-დალოცვილო, შეგერგება!

მეორე მეხრე-კი ვერც არაფერს ჰხედავდა იქაურობისას და არც არაფერი ესმოდა, გარდა ბულბულის სტვენისა; იმისი გონება სადღაც შორსა ჰფრენდა, ხანდისხან სახეზედ ეხატებოდა რაღაცა საიდუმლოებით მოცული ღიმილი; ხან ტანს ბულბულის სტვენას აყოლებდა. დიდხანს იყო ამ ნაირს მდგომარეობაში. შემდეგ წამოიძახა:

— დელა, ოდელაი, დელა, დელას, ოდილასა, დილა, დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა! დამძახე პიჰო! — უთხრა ამხანაგს და დაიწყეს ორთავე:

წყალი მწყურიან, წყალს დაველევ,
დაეწაფები გუბესა!
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!
წაველ და ჩავეხუტენი
ივანეჰ გოგოს უბესა!
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!

— მართლა, ბიჭო, რატო აღარ გამითავე, როგო დაბოლავე საქმე? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ვერ მევეჰწრობით ამაღამ!

— ამაღამ რო ის ვილაპარაკოთ, როდის-ღა დავიძინოთ?

— ვერ გაჰძლები ამოდენა ქალაქ ღამეში? შენ არ გაყარაულებ, ნუ გეშინიან!

— არ მაყარაულებ რა, ჩემი ფეხები! შენი რა გადასახადია?

— მაშ ილა მოგიკვდეს, თუ ილამ ამაღამ თვალი მოხუჭოს! რაც ის ივანეჰ გოგო ენახე, მე ტკბილათ აღარ დამიძინია.

— ჰო-და, აბა, ერთი მილაპარაკე!

— სად ვიყავ?

— აი მზლუდრს რო მიხველ და თქვენებიანთ ტასიკო გოგომ რო გითხრა, ივანეჰ გოგო აქ არიო.

— ჰო, რო მივედით მზლუდრობას, ექვსიოდ-შვიდი ბიჭი ვიყავით, ჩვენებიანთ გიოც იქ იყო. აბა, შენ ხო იცი, რო მე და იმას კარგა გვაქვ შეწყობილი ხმა. ისე, სუ გუგუნით გავიარეთ სოფელზე, და მზლუდრშიაც სიმღერით მივედით. რო ჰნახო, დაგვინახეს თუ არა ჩვენებურმა ბიჭებმა და ჩემეგეგებნენ. გოგოებიც წამოვიდნენ ჩვენკენ და ყურება დაგვიწყეს. მემრე იმ დალოცვილმა ღმერთმა სუ კაი ბიჭებს მოგვეყარა თავი, სუ და სანიშნი ბიჭები ვიყავით: მე, ჩვენებიანთ გიო, შინჯიკაანთ ყარამანი, ყანჩაანთ ბასილა, მესხიანთ ზაქარია, იმედაანთ კოწია, გარხელაანთ ნინია.

— ეი, რა სუ კაი ბიჭები შაჰყრილხართ!

— მემრე იგეთი ჩაცმულ-დახურულები ვიყავით, რო ყველას თვალი ჩვენზე რჩებოდა. მე კიდე იგეთი გამოკანკლული ვიყავი, რო!

— მითომ არ იცოდე გამოკანკლარა!

— ჰო, რო მივედით და დაგვიწყეს ყველამ ყურება, ჩვენებიანთ ტასიკო იქა ყოფილიყო. დამინახა მე და ხელი დამიქნია. მე მიველ იმასთან და მითხრა, ივანეჰ გოგო აქ არიო. აი გაგიხარიან, მე გამიხარდა. მაშინვე წავედით, ჯერ ფერხული დავაბით. ცალ მხარეზე მე და ჩვენებიაანთ გიო ვამბობდით, მეორე მხარეზე კიდე ყარამანი და ზაქრა. კაცო, მე იგრე გაჩამიჩებული არა მინახამ-რა, როგორც სხვა სოფლისანი იყვნენ გაჩამიჩებულები. ბანსაც ვერ გვეუბნებოდნენ ხეირიანს, ის ოჯახ-დაქცეულები! ჩვენებურები რო არ ჩაბმულიყვნენ, კიდევ ერთი ათიოდენი, შენი მტერი, ჩვენ შავრცხვებოდით. მემრე სუ ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ, ფერხული რო გავათავეთ და „ჰაი ტიტი" დავიწყეთ. რო არც თამაშობაში გამოიჩინეს ფეხ-ფოლადი! ერთი უნდა გეყურებინა, როგო დაბაჯბაჯებდნენ. ჩემა მზემ და თავი არ მამიკვდება, თქვენი შაქარა კამეჩი იმათზე კარგა ითამაშებს. გაგიხარიან, რო ჩვენმა ბიჭებმა ქვეყანა ზედ შაიხედიეს.

— აბა რა, კოწიას თამაშობას დაიწუნებდნენ რა! მგონია, სუ წყალწყალა ჩიტივით დაცქრიალებდა.

— კოწიამ, თორე ჩვენებიანთ გიომ ხო დააკლო-და!

— ნუ გეშინიან, არც-კი შენ ჩამორჩებოდი!

— მანამ კარგა არ დავიქანცენით, სუ ვმღეროდით და ვთამაშობდით. ი გოგოები კიდე, ჩვენ ზემოდამ ერთი ბექური იყო, იმაზე იდგნენ და გვიყურებდნენ.

— ივანეჰ გოგოც ხო იქ იყო?

— არა, ბიჭო, ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერსად დავინახე.

— მაშ ვერა ჰნახე!

— დაიცა, გითხრა-და! ჰო, რო გავათავეთ თამაშობა და მემრე გოგოებმა ბუზიკა დაუკრეს და თამაშობა დაიწყეს, ჩვენ ბიჭები წავედით, მივწივ-მოვწიეთ გოგოები და ცალი მხარე დავიჭირეთ. ერთი ვიღაცა გოგო უკრამდა ბუზიკას. იმ დედ-მამა ცხონებულმა სუ აატირა. გამოდიოდნენ გოგოები რიგ-რიგით და თამაშობდნენ. მემრე გამოვიდა ივანეს გოგოც. გამოვიდა და რა გამოვიდა! ყველანი უკან მიჰყარა. თითქოს ალალმა წამოუქროლაო ჩიტებს, იგრე გაჩუმდნენ ყველანი და ყურება დაუწყეს. მემრე ის ოჯახ-დაქცეულები მამიბრუნდნენ და სუ მე დამიწყეს ყურება. ეი, შამრცხვა და რა შამრცხვა! ამოდენა ვარ და თავი დღეში იგრე არსად შამრცხომია. მე თავი ჩავღუნე, იმან-კი უფრო და უფრო მოუმატა. როგორც ისა თამაშობდა, იგრე ბექებზე გადაყრილი ხუთი-ექვსი მოლტიეთ ნაწნავი უთამაშებდა. რო გაათავა თამაშობა, წავიდა და ჩემ პირდაპირ გოგოებში ჩადგა. ის მე მიყურებდა, მე იმას, იგრე გამიყარა თვალი-თვალში, რო ბოლოს იგრევ მევე შამრცხვა და თავი ჩავღუნე. სხვა

*) იხ. „ივერია" №№ 141, 142 და 143.

ბისა“ (მეორე გამოცემა), შედგენილი რაჟდენ ჯაჯანაშვილის მიერ.

*** ჩვენ ვნახეთ ბ-ნის ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ერთი ძველი ქართული გალექსილი ხელთ-ნაწერი წიგნი. წიგნი კარგის ლექსით არის დაწერილი და შიგ რამდენიმე სურათიცა აქვს ჩართული. სამწუხაროდ, ამ წიგნს არც თავი აქვს და არც ბოლო. კარგი იქნებოდა, რომ ბ-ნმა ჩარკვიანმა ეს წიგნი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დაუთმოს.

*** 11-ს ივლისს, მიხეილის ქუჩაზე, „ვაზას“ პირდაპირ, ცხენის რკინის გზაზე შემდეგი უბედურება მოხდარა: ერთი ახალგაზდა 17—18 წლის კაცი აპირებდა ვაგონში შესვლას. ამ დროს მეორე ვაგონის სახელურები მოჰხვდა და ყმაწვილი კაცი ისე გაითელა, რომ ცოტა ხნის შემდეგ სულიც დალია.

*** სასახლის წინ, ტროტუარზე, ერთს ადგილას ფენილი თლილი ქვა დაუშლიათ და სხვა-და-სხვა ფერი დაჰრელებულ-მოქარგული ცემენტი დაუგიათ. თუ ეს ცემენტი თლილ ქვაზე უფრო კარგი და მაგარი გამოდგა, ამბობენ, ქალაქი არ მოერიდება ხარჯს და მთელს გოლოვინის პროსპექტის ტროტუარებს ამ გვარის ცემენტით მოჰფენსო.

*** „ჯამბაზი“ როგორღაც ისევ მოდაში შემოდის. მაისში ვიღაც ჯამბაზმა გაება თავისი თოკი საზამთროს მოედანზე, პოლიციის მეექვსე ნაწილში, და ერთის თვისა და ნახევრის განმავლობაში ყოველ კვირა უქმე დღეს თამაშობდა თოკზე; იმისი ტაკი-მასხარები-კი დაბლა ართობდნენ ხალხს. ამასობაში ჯიბგირები დაძვრებოდნენ და ბევრი აატირეს ცხარე ცრემლით და ამოაცალეს უკანასკნელი გროში. ეხლა საზამთროს მოედანზე მოშალა ამ ჯამბაზმა თავისი ორჩოფეხები და გადმოიტანა რიყეზე, სასწორის მოედანზე. აქ ასევე იქცევიან. თუ ჯამბაზს ნებას აძლევენ თამაშისას, ურიგო არ იქნება, რომ პოლიციამ თვალ-ყური ადევნოს ჯიბგირებს.

*** სოფ. ქახერილი (გორის მაზრა): ძველადგანვე ქახერელები და ხიდისთაველები ერთმანეთს მხარს აძლევდნენ და საერთო შრომით და ხარჯით ეწეოდნენ სხვა-და-სხვა საერთო საქმეს. მაგალითად, ორივე სოფლები ერთად აკეთებდნენ რუებს, სარწყავ არხებს. წყალი სოფ. ატენიდგან მოჰყავდათ. ეხლა-კი ძველი წესი და რიგი ხიდისთაველებს დაურღვევიათ და ქახერელებს მხარს არ აძლევენ. ამიტომაც ქახერელები მეტად გაჭირებულნი არიან, რის ვაი-ვაგლახით გამოჰყავთ წყალი და იმითაც თავისს დროზე ვერა სარგებლობენ. კარგი იქნება, რომ ხიდისთაველები ისევ ძველს წესს დაუბრუნდნენ, თორემ თავიანთის საქციელით ვერც თვითონ ხეირობენ და სხვასაც ზარალს აძლევენ.

გარდა ამისა ქახერელებს სხვა გაჭირებაც გვეწვია: ზოგიერთი ჩამოხიზნული კაცი, რომელთაც სახელმწიფო მამული უყიდნიათ ჩვენში, არღვევენ ძველს ადათსა და ჩვეულებასა. სოფლის წესი ის არის, რომ მცხოვრებლებმა ერთმანეთს მეზობლობა და მომხრეობა გაუწიონ ყოველს საზოგადო საქმეში. ჩამოხიზნული კაცი-კი არას დაეძებს და ამით დიდს ზარალს აძლევს მთელს სოფელს. მაგალითად, ერთი შემოხიზნული კაცი ზოგიერთთა დახმარებით საზოგადო წყლით ისე სარგებლობს, რომ მთელს სოფელს ზარალს აძლევს. არ დაეძებს არც სოფლის საჭიროებას და არც იმას, რომ სარწყავ რუების გამოყვანასა და გაკეთებას სოფლელები დიდს ხარჯსა და შრომას ანდომებენ. თვითონ ის კაცი-კი არც ხარჯს ეწევა და არც შრომასა. თუ ვინიცობაა ვინმემ წინააღმდეგობა გამოაცხადა, ვაი იმის ბრალი.

სხვა-და სხვა საშუალებით ყველა დაშინაურებული ჰყავს და ერთი და ორი კაცი, ისიც კანონის უცოდინარი, ვერას გახდება იმის წინააღმდეგ, ვინც სხვა-და-სხვა ხერხი იცის.

# უცხოეთი

საფრანგეთი. აი ანგარიში საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომისა 30 ივნისს, რომელზედაც ბულანჟე და ფლოკე წაკინკლავდნენ და ბრძოლა მოუხდათ.

ბულანჟემ შეიტანა წინადადება, რომ პალატა დაუყოვნებლივ უნდა დათხოვნილ იქმნას და ახალი არჩევანები დაინიშნოსო. შემდეგ ამოიღო რვეული და „სიტყვა“ წაიკითხა, ისე, როგორც ნაპოლეონ მე-III ჩადიოდა. ბულანჟისტები და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ, რესპუბლიკანელები იცინიან და მახვილობენ.

— ვინ არის თქვენი „სიტყვის“ დამწერიო?—ჰკვირიან შუაგულისა და მემარცხენე დასის წევრნი.

ბულანჟე-კი წარბ-შეუკრელად კითხულობს:

— მე არ მინდა ახალი მიზეზი დავბადო არეულობისა და აშლილობისა. პირ-იქით, ჩემი სურვილი ის არის, რომ ქვეყანა დაწყნარებული და დამშვიდებული იყოს, თუმცა-კი აშლილობა უეჭველად მოსალოდნელია, თუ წრეულს არა, მერმისს მაინც. აწინდელს პალატას სწორედ იმ წელიწადს უთავდება ვადა, როცა გამოფენა გვაქვს დანიშნული, და ამიტომ საშიშო და საფრთხილოა, რომ ამ მსოფლიო გამოფენას ამის გამო ზიანი არა მიეცეს-რა. საკანონ-მდებლო ხანას ვერავინ წაუმატებს, ეს ხომ ბოროტ-მოქმედება იქნება ქვეყნის მოთმინებითა. რადგანაც მთავრობას ნება აქვს პალატა დაითხოვოს, ამიტომ პალატას შეუძლიან სთხოვოს მთავრობას დათხოვნა, რათა ახალმა არჩევანებმა კერძო ინტერესებსა და რესპუბლიკას ზიანი არა მისცეს-რა. რამდენიც ადრე მოხდება არჩევნები, იმდენი უკეთესია (მემარჯვენენი ტაშსა სცემენ, მემარცხენენი იცინიან). პალატა უღონოა, მთავრობა საეჭვო ნდობითა სარგებლობს (ბულანჟისტებსა და მემარჯვენეთ დიდი მოწონების ყაყანი აქვთ; მემარცხენი ჰღელავენ და წინააღმდეგობას აცხადებენ)... საკანონ-მდებლო საკითხთა საქმე წინ არ იწევს, ბიუჯეტიც-კი არ არის აცილებული ათასს ფათერაკსა. ქვეყანა მონდომებულია, რომ კონსტიტუცია გადაისინჯოს და ამ მხრივ რესპუბლიკა უფრო მკვიდრი შეიქმნას, უფრო მაგარი. ხოლო ეს-კი ეხლანდელს პალატას არ შეუძლიან, იგი სარგებლობს შემთხვევითის უმეტესობით. რიგიანი სამინისტრო კაცები აღარა გვყავს (სიცილი გაისმის). პალატამ დაამხო ხუთი კაბინეტი და მეექვსე-კი—ფლოკესი სიცრუე, თვალმაქცობაა და სხვა არა-რა. იგი თავს იკავებს იმით, რომ ახალს აზრებს ებრძვის. პალატა ქუცმაცებისაგან შესდგება და იმისი დათხოვნა აუცილებელია. ამ გვარმა მდგომარეობამ შეიძლება კიდევ სულ 15 თვეს გასტანოს რესპუბლიკის უზიანოდ და უზარალოდ. La dissolution,—კითხულობს ბულანჟე,—s'impose pour des motifs impérieux...

— Imperiaux!*)—უსწორებენ სიცილით რესპუბლიკანელები.

როცა პალატა დაწყნარდა, ფლოკე წამოდგა ფეხზედ და სთქვა.

— მთავრობას, მართალია, შეუძლიან პრეზიდენტსა სთხოვოს პალატის დათხოვნა, ხოლო კაბინეტმა გარდასწყვიტა, რომ არ შეიტანოს ასეთი თხოვნა...

— რესპუბლიკანელი მთავრობა მხოლოთ შემთხვევითის უმეტესობითა სარგებლობს!—აწყვეტინებს ბულანჟე.

ფლოკე. ბ-ნს ბულანჟესა ჰგონია, რომ რესპუბლიკანელი მთავრობა შემთხვევითის უმეტესობითა სარგებლობსო. ბ-ნის ბულანჟეს მომხრეთა უმეტესობა-კი ყველად ცნობილია, იგი თითქმის სრულიად მემარჯვენეთაგან შესდგება (ტაშის ცემა ისმის). ბულანჟეს რეაქციონერებს გარდა მომხრეობს აგრეთვე რამდენიმე გზა-დაბნეული რესპუბლიკელი... (მართალია, მართალი!)

— თქვენ ჭეშმარიტებას განგებ ამახინჯებთ!—ჰყვირის ბულანჟისტი ლეზანი.

**კუნეო დ'ორნანო.** აბა მიჰმართეთ ქვეყანას, თუ გაბედულობა შეგწევსთ.

**დიუგე-დე-ლა-ფოკონრი.** თქვენ ეხლა ისევე სთნთქავთ გენერლებს,

*) ამ ორს სიტყვას სულ სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს და მით უფრო სასაცილოა. ბულანჟე კითხულობს: „პალატის დათხოვნა აუცილებელია და გამოწვეულია ქვეყნის უეჭველის სურვილით“ და მახვილად გადასხვაფერებული სიტყვა-კი ასე სცვლის ამ წინადადების აზრსა: „პალატის დათხოვნა აუცილებელია და გამოწვეულია იმპერატორულის სურვილით“. სულ-კი ერთი ასო შეიცვალა, „იო“—„ო“-დ გარდაიქცა ერთს სიტყვაში.

---

გოგუებიც ბევრნი გამოვიდნენ მერე, მაგრამ იმიჰთანათ-კი ვერავინ ვერ ითამაშა. გოგუებმა რო გაათავეს თამაშობა, ჩვენი ტასიკო გამოვარდა და გვითხრა: ბიჭებო, ახლა თქვენ ითამაშეთო. აბა, მე ვიცოდი, თქმა არ მინდოდა, ყველაზე წინ გავვარდებოდი-ყე და ციბრუტივითა ვტრიალებდი, მაგრამ მაშინ-კი რაღაცა დამემართა, თქვენმა გამარჯობამ, ვერ გავბედე. მერე ი გოგო იგრე აწიწინებდა ი ბუზიკას, რო იმაზე თამაშობა მკვდარსაც-კი მოუნდებოდა. კოწიამ ჯერ-კი მიცადა და რო არ გავედიოდი, გავიდა და ჩამოტრიალდა. გაათავა და მე დამიკრა თავი.

— ჰაი, თუ შენც კი გამაჩენდი, რაც იცოდი და არ იცოდი!

— ისემც ღმერთი გაუწყრება დუშმანს! რას ამობ, კაცო, რაღაცა ღმერთი გამიწყრა, სულობით ვერ მოვახერხე თამაშობა. მუხლები იგრე მეკეცებოდა, რომ კინაღამ არ წავიქე რო ენახე, რო ხერხათ არ მომდიოდა, გავანებე თავი და წავერივე, საცა ბიჭები ჯგუფად იდგნენ. შაქნეს ერთი ალიაქოთი, რა დეემართა, რატო ვერ ითამაშაო. ჩვენ გიოს-კი ეყურებინა იმიჰთვინ. თურმე ნუ იტყვი, ძალიან ჰწყენოდა, რო მე ვერ მოვამგზავსე თამაშობა. შუბლი შაიკრაო და სუ იგრე შუბლ-შეკრული იდგაო. ჩვენებურმა ბიჭებმა რო ითამაშეს ყველამ, ჩვენი ტასია გოგო მოვიდა, წამავლო ხელი და მითხრა: „რა დაგმართებიაო, შენი თამაშობა დუნიაზეა გათქმულიო და აქ რაღა დეემართაო? წამო ითამაშეო!“ ბევრი ვიუარე, მაგრამ აღარ მეშვება მეც მივაფურთხე ეშმაკს და გაველი მეორეთ. გაველი და მაშინ-კი, გაგიხარიან, მე თვალები დავაცეცებინე ყველას. რო დაუარე და დაუარე, ბიჭები მეძახოდნენ აქათ-იქიდამ „ჰა, შენია ილიავო!“ თურმე მიყურებდა ისა და სუ ღიმილი მოჰდიოდა პირზე. რო გავათავე თამაშობა და, ვერ-კი დავინახე, ვინ იყო, ერთმა დამიძახა: „ტყუილია შენიჰთანა, რო ყველაში გათქმული ხარო“. შეელა შენ გქონდეს, მე ამან გამახარა. ი ვიღაცა იყო, სწორედ იმიჰ გვერდზე თქვა და იმანაც გაიგონა. შენ არსად გინახამს ივანეჰ გოგო?

— აბა სადა ენახამდი!

— ახ, ნეტავი ერთი გაჩვენა, ჰწოროთ ციდამ ჩამოსული ანგელოზია!

— ეი, იგეთი ლამაზია?!

— აბა როგო განიშნო, ჰიმეანთ ბაბალე გოგოს ხო იცნობ?

— როგორ ვერა, იმასაც რო ვერ ვიცნობდე, მა ვილას ვიცნობ?

— ჰო, ჰწორეთ იმ სიმაღლეა.

— თითქმის, ცოტა-ღა ჰკლებია შენ სიმაღლეჰთან.

— მე მაღალი ვიქნები, მაგრამ ის ძალიან მოხდენილია: მთვარესავით ბადრი პირი აქვ, წითელი, თურაშაული ვაშლივით ლოყები, მაჯის სიმსხო, უსურვაზივით დაგრეხილი კავები ჩამოჰკიდამ. ბეჭებზე კიდე ოთხი შოლტივით ნაწნავი აყრია. შენ იმიჰ წარბები უნდა ჰნახო, თითქოს წალამი გაუკრამთო! შავი ყურძნივით კიდე თვალები აქვ. მერე გლეხურათ ხო არ აცვია!

— არა?

— გლეხურათ-კი არა. შენ გლეხურათ გეგონა?

— მაშა, კაცო?!

— გლეხურათ-კი არა, თავადურათ აცვია. შიგნით თეთრიანი ჩითის კაბა ეცვა, აი რუშიანს რო ეძახიან.

— აი ნაოჭ-ასხმული?

— ჰოო, ზემოდამ კიდევ თავადური პოლკა. რაღაცა-კი ჰქვიან სხვა, ტასიკომ მაჰწავლა. დაჰწყევლა ღმერთმა!.. ენი წვერზე მადგია. აგვი ბატონიანთ ნენესაც არ აცვია, კაცო, იგეთი.

— ი ივანეჰ გოგოს ხო ეცოდინება იმიჰ სახელი?

— აბა, კაცო, იწყევლები? იმიჰ მეთი-კი ჰცოდნია რამე! დიაკვნიჰ ცოლთან ყოფილა შაგირდათ და რა იქნება იგეთი, რო იმას არ უსწავლიებია. ჩვენი ტასიკო ამბობს, იმან ხო გლეხური ლაპარაკი არ იცისო, სუ თავადურათ სიტყვა-პასუხობით ლაპარაკობსო. აი ჩვენ რო ვიტყვით კელები, ფეკები, იმას ხო ეგრე არა ჰცოდნია, იმასა ჰცოდნია ხელებ და ფეხები. წიგნსაც იგრე კითხულობსო, რო კარგი დიაკვანიც ვერ წაიკითხამს იგრეო. „უფალო“ და „მამაუჩვენო“ დაისრულა და ახლა მოკითხვასა კითხულობსო. აბა ხელ-საქმე ჰცოდნია კარგი აი! იგეთ ჩახსაკრავებს დაჰქსოვს და დაჰწერამს კიდეც ზედაო, რო ყევარ ხარათა ღირსო!

— ეეეი, რა მწავლული ყოფილა! ჩახსაკრავებზე როგორღა უნდა დასწეროს? არა ჰგვანებია ჩვენ მწერალს. ქაღალდზედაც ძლივა ჰწერამს.

— ოჰტატმა იცის-და!

— საოჰტატოკ შენ მოგინდება ბევრი.

— ბევრი რა, ერთ თუმანს არ დამჯერდება?

— როგო არ დაგჯერდება, მეტი რაღა უნდა.

— მიეცემ, რა ჩემი ფეხებია, ვეღარ ამოვალებინებ? ვაქსოვინეფ ჩახსაკრავებს და ვაყიდინეფ.

— რა ჯიბი ბოხჩა ეცოდინება?

— ჩახსაკრავებზე სწერამს და ჯიბი ბოხჩა გაუჭირდება!

— ერთი შამიკერვინე.

— არ დაიჯერებთ, კაცებო, ამ დასაქცევს ფული ექნება.

— იგრემც ჩემს მტერსა ჰქონდეს!

— მა რათ გინდა ჯიბი ბოხჩა?

— ტალ-კვესი ვერაში შემინახამ.

— ცოტა ძალუები გყავ, რატო იმათ არ შააკერინებ?

— ვაჰ იმათი, ძალუები მე ვიცი!..

— მაშ კარგი, შაგიკერვინებ.

— ვინ გირიგებს?

— ვინ უნდა მირიგებდეს, ილბალია და ყისმათი.

— როგო ილბალი და ყისმათი, მე რატო არა მაქვ მაგიჰთანა ილბალი?

— ჯერ სუფსარქისის მარხვა არ შაგინახამ?

— ვინ მამალის იმიჰთვინ.

— აი, რო შეგენახა, ნამდვილათა ჰნახავდი შენ ილბალსა და ყისმათს. იმაზე მართალი არა ყოფილა რა. ახლა როგო იყო. წლეულ ვიმარხულე. სუფსარქისობა რო თენდებოდა, იმ ღამეს აილო დედაჩემმა ერთი სათითე ფქვილი და ორი სათითე მარილი. არივა ერთად, გამააცხო კვერი და მითხრა: „ეჰ შაჭამეო და დაიძინეო, წყალი მოგწყურდებაო და ვინც სიზმარში დაგალევინებს, შენი ილბალი ის იქნებაო“. დავწექ, დავიძინე და, რო მამწყურდა წყალი, მაიტანა ერთმა გოგომ და დამალევინა. ავდექი თუ არა დილით, დედაჩემმა მკითხა: „ვინ დაგალევინა წყალიო?“ რა ვიცი-მეთქი, ერთი ლამაზი, მაღალ მაღალი გოგო მოვიდა და იმან დამალევინა-მეთქი. „საიდამ მოვიდაო“, და მეც გაუშვირე ხელი, აი იქიდამ მოვიდა-მეთქი. დედაჩემმა შაჰკივლა: „უი, შვილო, ტასიკომ მილაპარაკა, შარშან მეშველიანთ ივანეს გოგოს შეენახა სუფსარქისის მარხვაო და შენ ილას დეელევინებინა წყალიო. მე ტასიკომ დიდი ხანია მითხრა და შენ არ გეუბნებოდიო“. ტასიკოსათვინ ეთქვა დედაჩემს, რო მეც ისა ენახე, და ეხლა ტასიკოა მაჰკალი.

— მერე, სადილათ ვიჰთან წახვედი ზღუდრიდამ?

— სადილათ სუ ერთიანათ ტასიკოჰთან წავედით, ვინც კარგი მომღერლები ვიყავით. მაგრამ რა გითხრა, გავაჯერეთ იქაურობა. აბა, მეშველაანი ტასიკოს მეზობლები არიან, რო უყურო, მოდგა ლობეჰთან იმოდენა ქალი და კაცი და სუ ჩვენ გვიყურებდნენ, როცა ვთამაშობდით და ვმღეროდით. მერე ტასიკო მოვიდა და მითხრა: „კარგია და ნუ დააწყვეტინე თვალები შენი ყურებითაო“. მაგრამ მე უარესი ვქენ, კიდევ-კი არ მეკეცებოდა მუხლები.

— ნეტავი შენ! ტყუილათ-კი არ

როგორც უწინ მღვდლებსა სთნთქავდით.

**ფლოკე.** ბ-ნს ბულანჟეს ნება არა აქვს საკანონ-მდებლო საქმეებზე სთქვას რამე, რადგან არასოდეს არ ესწრება ჩვენ კრებებზე (ტაშის ცემაა). თითონ ბულანჟემ რაღა გააკეთა, რატომ არ იტყვის?

**ბულანჟე** მე ერსა და ქვეყანას მივმართე.

**ფლოკე.** ჩვენ სამინისტრო კაცები თურმე აღარა გვყოლია მას შემდეგ, რაც ბულანჟე მინისტრი აღარ არის და სცდილობს ხელში მოიგდოს ეს თანამდებობა. ბ-ნი ბულანჟე ამბობს, რომ თქვენ სიცრუე ხართ და სხვა არარაო...

**კასანიაკი.** ჭეშმარიტია!

**ფლოკე.** მე ვამაყობ იმით, რომ ბ-ნის კასანიაკისა და იმის მეგობრებისათვის და აგრეთვე ბ-ნ ბულანჟესათვის ჩვენ სიცრუე ვყოფილვართ (ხანგრძლივი ტაშის კვრა ისმის რესპუბლიკელებისა). ჩვენ იმითიც კმაყოფილნი ვართ, რომ პალატის უმეტესობა გვენდობა. თქვენ არა გრცხვენიანთ, რომ პალატასა და რესპუბლიკელებს ჰკიცხავთ და ტალახში სვრით. ჩვენ თქვენ ჩვენად არას დროს არა გთვლიდით, თქვენ, რომელიც აბატებისა და პრინცების კარებებში დაწრწოდით და რომლის სურათებიც შუაგულ გერმანიიდგან იგზავნება. ჩვენში ყველა შუათანა მოღვაწემ უფრო მეტი სიკეთე მოუტანა რესპუბლიკას, ვიდრე თქვენ შეიძლებთ და ავნებთ რასმეს. არ ვიცი, რა გვარს დიქტატურასა ხართ მოწადინებულნი, ხოლო დათხოვნას-კი სთხოულობთ. დიაღ, მართალია, დათხოვნილ იქმნება, ხოლო პალატა-კი არა, არამედ თქვენი დასი, რომელსაც ისეც გაწყვეტილი აქვს არსებობის ძაფი. რესპუბლიკანელები აღარ აგყვებიან, გენერალო, და თქვენ ეხლა მხოლოდ რეაქციონერების შემწეობითა სარგებლობთ.

— პალატის პრეზიდენტად გახდომისათვის არც თქვენ იკრავდით ცხვირსა მემარცხენეთა შემწეობაზედ,— ჰყვირიან მონარქისტები.

**ფლოკე.** თქვენი საქმე გათავებულია. ის დღე, როდესაც ჩვენ რევოლიუციის ასის წლის შესრულებას ვიდღესასწაულებთ, რომელსაც თქვენც იხსენიებთ, ხოლო რომლის მნიშვნელობა-კი არ გესმით, ის დღე ერთის კაცის დღესასწაული-კი არ იქნება, იმ კაცისა, რომელიც თავისს თავს ერის წარმომადგენლობაზე მაღლა აყენებს, რათა შეურაცხჰყოს იგი,—იგი იქნება დღესასწაული დიდებულის აზრისა...

ბულანჟე კვლავ ფეხზე სდგება. მემარცხენენი დაცხრიან.

— ხომ არ გინდათ თავის გამართლება დამიმალოთ მას შემდეგ, რაკი გამლანძღეს და გამათრიეს?—ამბობს გენერალი.

— ოთხასი ერთის წინააღმდეგია,— ჰყვირის კასანიაკი.

**ბულანჟე.** მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვა, რომელსაც სიტყვა-მახვილობა უნდოდა ყოფილიყო, უფრო ცუდად აღზრდილის მოსწავლეს სიტყვას მიემსგავსება... (ყვირილი ისმის, მემარჯვენენი ტაშსა სცემენ.) მე გამათრიეს და თქვენ-კი ჩუმად იყავით. მე ვუპასუხებ მინისტრ-პრეზიდენტს და ვუმეორებ, რომ იგი უსინდისოდა სცრუობს! (მემარჯვენენი ფეხზედ წამოცვივდნენ და ტაშსა სცემენ. პალატა აღელვებულია.)

**მელინი.** თქვენ მაგ სიტყვებით დაარღვიეთ ყოველივე პარლამენტარული ზრდილობა, თუმცა-კი მაგით ბ-ნს მინისტრ-პრეზიდენტს ვერაფერს ავნებთ.

**ბულანჟე.** გეკითხებით, სიმართლით ვინ არის უფრო გასამტყუნარი: მე, თუ მინისტრ-პრეზიდენტი? (ტაშს უკრავენ მემარჯვენენი).

**მელინი.** ეგ სიტყვები თქვენ კასანიაკმა ჩაგჩურჩულათ ყურში...

**ბულანჟე.** რადგან ჩემის აზრის თავისუფლად აღმოთქმას მიშლიან, ჩემს თანამდებობას თავს ვანებებ.

საერთო ღელვასა და ლაპარაკში ბულანჟე პალატის პრეზიდენტს თანამდებობიდგან გადადგომის წერილს აძლევს და გადის. მელინი წერილსა კითხულობს. იგი ადრევე დაწერილია და ასე იწყება: „რადგან ჩემი წინადადება უარ-ჰყვეს...“ წერილის კითხვის დროს სიცილი გაისმის.

— მაშ ასე, ბულანჟეს თავისი განაჩენი თითონვე დაუწერიაო,—ამბობს მელინი.

პალატის დათხოვნის წინადადება არ მიუღიათ, რადგან ამ წინადადებაზე მხოლოდ ერთსა ჰქონია ხელი მოწერილი.

საქმე იმაში გახლავსთ, რომ ამ წინაზე ბულანჟისტთა კომიტეტს სხდომა ჰქონია და იქ გადაუწყვეტიათ ბულანჟეს პალატიდგან გამოსვლა. რადგან შარანტიეში დერულედი დამარცხდა, ბულანჟეს კანდიდატად დანიშვნა უნდოდათ და ამ გვარად პალატიდგან გაანთავისუფლეს, რომ შარანტიეში შესძლოს კანდიდატობა. ბულანჟისტთა გაზეთმა „La Presse“-მა ბულანჟეს პალატიდგან გამოსვლა უფრო ადრე აუწყა თურმე საზოგადოებას, ვიდრე პალატაში ჰქონდა ბულანჟეს გამოცხადებული.

ამ დღესვე, საღამოს 7 საათზედ, ფლოკემ კლემანსო და ჟორჟ პერენი გაუგზავნა თურმე ბულანჟეს. ბულანჟე შინ არ დაჰხვედრიდათ და ამ ორმა ღამის 12 საათზედ კვლავ შეიარეს. გენერლის მხრივ მოწმებად იყვნენ ლეზანი და ლე-ერისსე. ბრძოლა მეორე დღეს დილის 10 საათისათვის დაინიშნა.

სწორედ დილის 10 საათზედ, 1 ივლისს, მოწინააღმდეგეთ თავი მოიყარეს თურმე გრაფ დილონის მამულში. ბულანჟე დამშვიდებული იყო. ფლოკე ჰღელავდა. ხოლო დაშნები დაიჭირეს თუ არა ხელში, ფლოკე დაწყნარდა და ბულანჟე-კი აღშფოთდა და გულ-გაფიცხებით იბრძოდა. ფლოკემ დასჭრა იგი ყანყრატოში და მოწმეთ ბრძოლა შეაჩერეს. რამდენისამე წუთის შემდეგ ხალხის თვალწინ, რომელიც მოაჯირთან იყო შეჯგუფებული, გამოჩნდა ფლოკე თავისის მეგობრებითურთ და დაჭრილი ბულანჟე. გენერალს აღელვება არ ეტყობოდა, ხოლო პერანგის საყელო გაღეღილი ჰქონდა და გული გასისხლიანებული. ბრძოლა სულ რამდენსამე წუთში გათავდა. ფლოკე შინაგან საქმეთა სამინისტროში $10^{1}/_{4}$ საათზედ დაბრუნდა. იმას ელოდნენ ყველა მინისტრები, დიდ-ძალი სენატორები და დეპუტატები, რომელთა შორის ერია ჟიულ ფერიცა და ბრისონიც. დამსწრეთ მიულოცეს მშვიდობიანად გათავება ბრძოლისა. კარნოს მაგივრად მისალოცავად მოვიდა გენერალი ბრუჟერი.

## წვრილი ამბები

11 ივლისის „Britisch Medical Journal“-ში შემდეგი შენიშვნაა დაბეჭდილი: ამ დღეებში გამოქვეყნებულ განსვენებულის იმპერატორის ფრიდრიხ III ავადმყოფობის ანგარიშის შესახებ ჩვენა გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მორელ მეკენზი პირველ ხანად ამ ანგარიშის წინააღმდეგ არას იტყვის. მეკენზი ამ გარდაწყვეტილებას სხვისის სურვილით დასდგომია, ისეთის სხვისისა, რომლის ნებისამებრ მოქცევასაც თავის ვალად ჰრაცხავს. ამასთან ერთად იგი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ექიმთა ანგარიშში ბევრი უსწორ-მასწორობაა, სიცრუე და ნამდვილიც გადასხვაფერებულია, რომელთა შეცვლასაც იგი დაამტკიცებს მაშინ, როცა ნება ექნება მიცემული.

—ამას წინად მიუნხენს ახლო ჯვარი დაუწერია ერთს 79 წლის გლეხს 65 წლის დედაკაცზედ. საქმროსა და საპატარძლოს ერთად სულ 144 წელი ჰქონიათ, ხოლო იმათ ორს მეჯვარესკი 137.

— დაბა ჯეფერსოლიდონს ახლო შემდეგი ახირებული ქორწინება მომხდარა. პასტორს ანდრიუსს დილით ანდერძი აუგია კვნსკომის მეუღლისათვის. ამავე საღამოზედ დაჰქორწინებულს 70 წლის კვნსკომს თავისის ცოლის 70 წლისავე და შეუღრთავს და მეჯვარედაც თავისი შვილის-შვილი ჰყოლია.

— ამ ოთხის წლის წინად ვარშავის ერთის კანტორიდგან გაიქცა თურმე უმაწვილი კაცი ლ. და თან გაიტაცა დახლიდგან 8,000 მან. თუმცა ბევრი ეძებეს გაქცეული, მაგრამ ვერა და ვერ იპოვეს. ამბობდნენ, რომ უეჭველია ამერიკაში გასვლას გასწრობდაო, და ამიტომაც ძებნას თავი დაანებეს. გაიარა ოთხმა წელიწადმა. კანტორას სხვამ, ბ-ნმა რ—მ შეისყიდა. ერთხელ რ—მ მიიღო თურმე ინდოეთიდგან უშველებელი პაკეთი, რომელშიაც 10,000 მან. იყო, წერილი და ქსოვილის ნიმუშები. წერილიდგან სჩანდა, რომ ეს ფული გამოგზავნილი იყო ამ ოთხის წლის წინად გაქცეულ ლ—ის მიერ. იგი წვრილად აწერდა თავისს აქეთ-იქით ხეტიალს, შემდეგ მისულიყო ინდოეთში და ბედის კარი გაჰღებოდა, გამდიდრებულიყო და ცოლადაც შეერთო. წერილში სწერდა, რომ დიდად ბედნიერი ვიქნებოდი მით, რომ მოხუცის ვალს ვიხდიო, მაგრამ ერთმა სენმა დამიგდო და ვერაფრით განვიკურნე.

---

არი ნათქვამი: „ბედი მამეო და სანეხვეზე გადამაგდეო“. მე არც ძმა გამამადგა, ძმარი ედინოს, არც ბიძა, არც ბიძაშვილი, არც მამიდაშვილი, არ ვიცი ვის რა დაუშავე. ზოგს როგორი იღბალი აქვ! აბა რამთენით მე შენზე დიდი ვარ, კიდე ვიქნები ხუთი-ექვსი წლით დიდი; ხან წავეკიდე, ხან გაუწყერი ჩემ ბიძებსა და ძმებს: თქვენ რო დაბინავედით და ზოგმა ქალებიც გაიჰტუმრეთ, მეც ნულა მაყურებინებთ, დამაბინავეთ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვერა შავასმინე-რა იმ ოჯახ-დალუპილებს. ჯერ ვალი გემართებსო, ვალს ვეღარ მიუმატებთ სხვა ვალსაო. აბა ერთი შენ მითხარ, იმათ რო თავი დღეში ვალი არ მაიშორონ, მე დაუბინავებელი უნდა დავრჩე? მე ვეუბნები, საცა ის თქვენი შვილების გაჰტუმრებაზე აღებული ვალია, ჩემი საქორწილო ვალიც იქ იყოს-მეთქი. მაგრამ შააგდეს ქვა და შაუშვირეს თავი, პირი ვერ დაუაძრევინე იმ სახ-კარდალუპილებს!

— ბიჭო, შე რატო ეგრე ეხუმრები ვალს, იცი როგორი კაცის დამღუპავია ვალი? ღმერთმა ჩემი დუშმანიც ნუ ჩააგდოს ვალში და მემრე სომხის ვალში! ვენაცვალე დედაჩემს სულში, რო იმან ვალი შამაჯავრა. სუ იმას ჩამჩიჩინებდა, ვალი კაცის დამღუპავიაო, ანამცა და ანამც ვალი არ აიღო როდისმეო. ვალს უთქვამო: „კარის ჯუჯრუტანიდამ შევძრებიო და კარებში ველარ გამოვეტევიო“. აგე რა მოუვიდათ მამულაანთ. არ გახსომს იმათი ცხოვრება, რა ცხოვრება ჰქონდათ? ვინა ჰჯობდა იმათ ამ მხარეზე? იმათი ცხვარი და ძროხა მინდორს აბნელებდა. აბა ეხლა შაჰხედე იმათ ნასახლარს, რასა ჰგავ. ვალმა არ ჩასცხოთ თავში!

— რას ამბობ, ვალმა-კი არა, ვილაცამ ჯადო უგდო. ჩვენებიან ისაკოს არ აბრალებდნენ, აღარ გახსომს?

— ჯადომ ჯადოთ იმუშავა და ვალმა ვალათ, ორივე ერთმანეთზე მიჰყვა, თორე იმოდენა დოვლათი იგრე ანაჰდეულათ გაქრებოდა?

— ჰაიტა, მე რო ჩემ პატარაობაში იმათი მარილის ყორე მინახამ, მითქვამ ჩემ გულში, ნეტა რა ხარმა და კამეჩმა მოზიდა ამოტელა ზღვა მარილი-მეთქი! იგრე მალე სად ჩაიყლაპა იმოტელა ცხოვრება!

— აბა ვალს ე მაგრე ჰცოდნია, აი. ის ოჯახ-დაქცეული, ი არტემაა რალაცა, შაუჩნდა ჩრჩილივით და იგრე დაანიავა პატიოსანი ოჯახი. ის ოჯახ-დაქცეული თურმე ნუ იტყვი მივიდოდა იმათას ღამ-ღამე, როცა საწვრიმალო დაჰქონდა, კარგსა სჭამდა, კარგსა სვამდა და ერთი ბეწვა კვეი რომ მეეწიწკნა ბალღებისათვინ, დავთარში ჰწერამდა. რასაც ფულსა შოულობდა იმასაც იმათ ასესხებდა, თუნდა არა ჰჰირებოდათ. ატარა, ატარა, შააყენა, უანგარიშო ვალი, მემრე წაუსვა ხელი და წაართვა. ეი, მე რო იმას უყურე ერთხელ პურის წყვაში! ერთი დიდი ხევაი იდგა მამულაანთ კალოზე, მისდგომოდა შენი არტემა და, რო ჰწყამდა, განა ხელს, მკლავს უხვევდა, ის მკლავ-გასახმობი. კაცს ცრემლები გადმოჰცვიოდა, რო დევნახა. თითქო ნაღდი ფულები დაუთვალაო, ისე შაუბრალებლათა ჰწყამდა, ის ოჯახ-დაქცეული. ვაჰ, ვალის მყვარებელს-კი!.. დედაჩემს ვენაცვალე სულში, რო იმან ეგრე შამაჯავრა ვალი და მოჯამაგირობა, თორე ერთ ლუკმა პურსა ვჭამ დღეს ღვთით, იქნება ისიც აღარ მქონოდა. ეხლა შე რო ამობ, რატო ჩემი საქორწილო არ აიღესო, იცი უფრო როგო დაგაწვებოდა კისერზე? მე რო შინ არ მეპოვებოდეს ყველაფერი და ვალის აღება დამჭირებოდა, იგრევ უცოლ-შვილო დავდგებოდი და ვალსკი ჩემ სიცოცხლეში არ ავიღებდი. ჩემი თვალით შაგაყვარა ვალი! მე ეხლა რო ვინიშნები, სუ ყველაფერი მზათა მაქვ. შამადგომისა ათი დღის ნახნავი მაქვ და რა ღმერთი გაუწყრება იგრე, რო ოცი კოდი მაინც არ მამიგროვდეს. ჯერ ეხლაც მექნება კიდევ ძველი ოც კოდამდინ, აბა რაღას შავჭამთ ეხლა, საცა არი ყანები გაიჭრება. ახლა კიდე გაზაფხულის მოსავალი? ვენახიც კარგი მაქვ. თუ ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუმშვიდა, იმთენი მამივა ყველაფერი, რო არამც თუ ქორწილში მეყოფა, კიდეც გავყიდი. საკლავებიც ეხლავე მყავ დაელიანებული. ფულათაც სამ ოთხ თუმნამდინ მექნება. როგო არ მეყოფა საქორწილოთ?

— მაშ ეგ არი, გაათავე საქმე რაღა?

— არა, აბა ჯერ სად გავათავებდი, მაგრამ გათავებულივით კია. როგორც ჩვენმა ტასომ მილაპარაკა, „იგრე ჰყევხართ ყველას გულში ჩავარდნილიო, რო იმათ შენს მეტი არავინ უნდათო“. მე უფრო არავინ მინდა იმის მეტი და ვერც არავინ იმას ხელს ახლებს, სანამ ცოცხალი ვარ. იმათ დაუბარებიათ, რო უსანეთობას მოვალთ სახლის გასაშინჯათო და პეტრე-პავლობას ნიშანი მაიტანეთო. უსანეთობამდინ ალო გამოვა და მეც მოცლილი ვიქნები.

— შენ იგეთები მელაპარაკე, ჩემო ძმაო, რო მეც გამიფთხა ძილი. ადე, ხარები ავშალოთ და სადმე კვლებში შავრეკოთ, ერთი კარგა მაინც დავაძღოთ, თუ ვერ დავიძინებთ.

მეხრეებმა დააძღეს ხარი, დაჰყარეს ერთ მინდერიანზედ და თვითონაც მიდეს თავები: ილიამ თავის შვინდა ხარზე და მეორემ თავის ჯერანაზედ. სულ არა ჰქინებიათ ერთ საათს, ნამგლის პირსავით დალეულმა მთვარემ ამააშუქა და დაუფრთხოთ უიმისოდაც დამფრთხალი ძილი ღამის მეხრეებს. უცბად წამოხტა ილია და დაუძახა ამხანაგს:

— ბიჭო, გიგიავ, ადე, გათენებამ მაატანა!

ადგა მეორე ამხანაგიც, აშალეს ისევ ხარები და გაჰყოლეს გუთნისაკენ. მირეკეს დილა-ბნელაზედ გუთანთან ხარი და დაუწყეს შაბმა.

— ილავ, რა იღბალი გაქვ, შე დასაქცევო! უთხრა ამხანაგმა. დღეჰ შენი ხნაა და რა ნაირათ არი დამაძღარი ხარი, რა დღიურს გადაჰქიმავენ.

უღელი ხარიდა ჰყვანდათ შესაბმელი, როცა მოვიდნენ გუთნის დედა და დღისის მეხრეები. დღისის მეხრეებმა წნელები დაშინჯეს და, საცა უნდოდა, ახლები ჩააგრიხეს. გუთნის დედაკი გაემართა გუთნისკენ და აასხა სახნის-საკვეთი. შეაბეს, დაჰხედა გუთნის დედამ ხარსა და სთქვა:

— დაილოცოს თქვენი მშობლის ძუძუ, რა დამძღარი ხარია! აბა, რაკი დავქორწილდი, მას აქეთია, სუ გუთნი დედათა ვარ და, როგორც წლეულ დამძღარი ხარი მოდის, იმიჰთანა-კი არსად მინახამ.

— ილამ იცის-და, იგრე გაატარებს სარტყლის ტოლა კვალში, რო ერთ თავთავს არ გააწყვეტინებს! წამაიძახა ერთმა დღისის მეხრემა.

— მაშ ხარები რო მე მაძღობენ, მე-კი არ უნდა დავაძღო ეგენი? უპასუხა ილიამ.

— აბა, ილავ, ნაზურგი შავკრათ, თუ ნაფთევი მივაგდოთ? დაუძახა გუთნის დედამ.

— ნაზურგი, ნაზურგი!

— აბა ვახსენოთ ღმერთი. ღმერთო, შენ შეგვეწიევ! და გაისმა „ჰაე-ჰე-ჰე!“

ცოტა ხნის შემდეგ ტოროლამაც მორთო თავისი დილის გალობა. თითქოს ტოროლას ჩამოართვაო, შემოსძახა ილიამ:

„უხერხული გუთნიჰ დედა
მეხრეებს ემუქრებოდა,
ცოტა მხნელი და მთესველი
მაღალ ღმერთს ემდურებოდა“.

სხვა მეხრებმაც მიაყოლეს ბანი და შემდეგ უძახა „ჰაე-ჰე-ჰე!“

მელანია

(შემდეგი იქნება)

თავიო. ეს სენი სამშობლოდგან მოშორებაა და მამულის უნახველობის ნაღველიო. მთელს ჩემს ქონებას მოგცემდით, რომ ნება გამომიტანოთ ისევ სამშობლოში დაბრუნებისაო. რასაკვირველია, რ—ს ეს ფულები მაშინვე კანტორის უწინდელს პატრონთან წაუღია და ორივენი სცდილან, რომ უმაწვილის კაცისათვის მთავრობისაგან სამშობლოში დაბრუნების ნება-რთვა გამოეტანათ.

— ამას წინად ჯარის-კაცებს გალგნის ტბასთან უპოვნიათ გვამი უმაწვილის ქალისა, რომლის გვერდზედაც წოლილა სისხლის გუბეში მკვნესარე უმაწვილი კაცი. უმაწვილს კაცს უთქვამს, რომ თავი უნდა მომეკლა, მაგრამ ვერ მოვასერხე და სისხლის ძლიერმა დენამ დამასუსტა. თავს იმიტომ ვიკლავდი, რომ თან გავყოლოდი ჩემს სატრფოს, რომელმაც ჩემ თვალ-წინ მოიკლა თავიო. დაჭრილი საავადმყოფოში წაუყვანიათ, ხოლო ქალის გვამი-კი მორგში წაუსვენებიათ. უმაწვილი კაცი ხელობით დურგალია, გვარად ვილჭელმ ოაზე, 19 წლისაა. უმაწვილს ქალსა და ვაჟს ერთად გარდაუწყვეტიათ თავის მოკვლა და ამ აზრით მისულან იმ ალაგს. ჯერ ქალს მოუკლავს თავი და შემდეგ ვაჟს უსროლია თავისთვის ტყვია.

— შტარბერგის ტბა, რომელშიაც, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, დაირჩო ბავარიის მეფე ლიუდვიგ II, ძალიან იზიდავს თავისკენ თურმე იმათ, ვისაც სიცოცხლე მოჰბეზრებია. გაზ. „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ მეფის დარჩობის შემდეგ ამ ტბის ტალღებში ათამდე კიდევ სხვა დაღუპულაო. ამას წინად ერთს ექიმს დაურჩვია ამ ტბაში თავი.

# დეპეშა

9 ივლისი

**პეტერბურგი**. გუშინ „კრასნოე სელოში“ დათვალიერებულ იქმნა ბანაკი. მივიდა თუ არა პეტერბურგიდგან სამეფო მატარებელი, მხედართმთავარმა მიართვა გერმანიის იმპერატორს რაპორტი. ხელმწიფე იმპერატორი იყო „პრეობრაჟენსკის“ პოლკის მუნდირში, გერმანიის იმპერატორი რუსის ჩვეულებრივს გენერლისაში, პრინცი ჰენრიხი მე-33 დრაგუნის პოლკის მუნდირში. ბანაკი ამ რიგად ნახეს: წინა ეტლში, რომელშიაც ება ოთხი თეთრი ცხენი, იხსდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა, მათნი უდიდებულესობანი მარია პავლეს ასული, ელისაბედ თეოდორეს ასული და კსენია ალექსანდრეს ასული. ამათ შემდეგ ცხენებით მიდიოდნენ ორივე იმპერატორი და თან ახლდათ წარჩინებულნი მოსამსახურე გვამნი. მეორე ეტლში ისხდნენ დანარჩენნი მთავრის ასულნი და სულ ბოლოს მიდიოდა დიდი ამალა. როცა იმპერატორები მივიდნენ საიმპერატორო ადგილას, მემუსიკეთა და მებუკეთა გუნდებმა შეასრულეს გერმანიული ჰიმნი. იმპერატორებმა ჯერ დაათვალიერეს პრეობრაჟენსკის პოლკის მარჯვენა ფლანგი, შემდეგ მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ხელმწიფე იმპერატრიცა და სამეფო სახლის მანდილოსნები გადმოხტნენ ეტლიდგან. დაიწყო კონცერტი. ამ დროს იმათნი უმაღლესობანი მიირთმევდნენ ჩაის. შემდეგ ვილჰელმმა საკუთარის ხელით უბოძა „შავის არწივის ორდენი“ გვარდიის კორპუსის უფროსს, პრინცს ოლდენბურგისას, და ტკბილის სიტყვით მოიხსენია გვარდიის კორპუსი. ცხრა საათზე დაუკრეს მუსიკა და მათნი უდიდებულესობანი და გერმანიის იმპერატორი წავიდნენ კრასნოე სელოში. დიდ-ძალი ხალხი იყო გზაზე მოგროვილი. ყოველის მხრით ურას ძახილით ეგებებოდნენ ხელმწიფე იმპერატორსა და იმის უავგუსტოესს სტუმარს.

«Journal de St.-Pétersbourg»-ი ამბობს, რომ ყოველივე, რაც გერმანიის იმპერატორის რუსეთში ყოფნის დროს მოხდა, თვით ამ დიდის ამბის შესაფერია და ეთანხმება იმ გრძნობას, რომელმაც ეს ამბავი გამოიწვიაო. ჩვენ ის უნდა აღვნიშნოთო, ამბობს გაზეთი, რომ ამ ამბავმა დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და რომ ორთა იმპერატორთა და საზოგადოების გრძნობა ერთი და იგივეა. ამის საბუთი ის არის, რომ დიდ-ძალი ხალხი იკრიბებოდა დღესასწაულზე. ამიტომაც ამ ამბავს ისტორიული მნიშვნელობა ექმნება. როცა ხელმწიფეთა თანხმობა ასე ნათლად იხატება მკვიდრთა გრძნობასა და გონებაში, უეჭველია, რომ მევობრული განწყობილებაც მკვიდრია. ეს განწყობილება მეტად დიდის მნიშვნელობისაა ეხლა, როდესაც იგი უნდა გახდეს საყოველთაო მშვიდობიანობის საბუთად და ყველანიც ხომ ამის მოსურნენი არიანო.

**პეტერბურგი**. დღეს, საღამოს 9 საათზე, გერმანიის იმპერატორი სადილს მიირთმევს გერმანიის ელჩთან. მოწვეულნი ოც-და-თოთხმეტნი არიან, მათ შორის: კომენდანტი, ქალაქმთავარი და ქალაქის თავი.

**კრასნოე-სელო**. დღეს იმპერატორ ვილჰელმის თანადასწრებით აქ მოხდა ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობა ჰქონდათ $60\frac{1}{2}$ ბატალიონს, $51\frac{1}{2}$ ესკადრონს და იყო 168 ზარბაზანი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე წინ უძღოდა ჯარსა. დილის 11 საათზე ალლუმზე მობრძანდნენ უმაღლესნი გვამნი ამალებითურთ, დედოფალი იმპერატრიცა ეტლით, ხოლო ორნივე იმპერატორნი ცხენით; მუსიკა უკრავდა პრუსიის ჰიმნსა; ცერემონიალი მარში ჩვეულებისამებრ იყო ამასთანავე იმპერატორს ვილჰელმს თვითონ მოჰყავდა ვიბორგის თავის სახელის პოლკი. დარაზმულობა ჯარისა ძლიერ მოეწონა იმპერატორს ვილჰელმს. ალლუმის შემდეგ გამართულ იქმნა საიმპერატორო პავილიონში საუზმე, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე კერძო გუნდების კომანდირებიც. ხელმწიფე იმპერატორმა ადღეგრძელა იმპერატორი ვილჰელმი, რომელმაც სამაგიეროდ რუსულად ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი.

**პეტერბურგი**, 10 ივლისი. პრინცი ჰენრიხი პრუსიისა დაინიშნა დრაგუნის მე-33 პოლკის შეფად. გუშინ, ალლუმის დაწყებამდე, პრინცმა ინახულა ამ პოლკის დეპუტაცია და ორდინარცები.

გუშინ იმპერატორი გერმანიისა მოვიდა პავლოვსკიდგან და წავიდა გერმანიის საელჩოში ეტლით. თან ახლდა პრინცი ჰენრიხი. დიდ-ძალი ხალხი, რომელიც შეგროვილიყო ნევის პროსპექტზე და მორსკოი ქუჩაზე, ურას ძახილით მიეგება უავგუსტოესს სტუმარს, ქუდებითა და ხელ-მანდილით სალამს აძლევდა. ქუჩები ჩინებულად იყო მორთული. ზოგიერთს სახლებში ფანჯრებში იმპერატორის ვენზელი გამოეკიდნათ ზედ-წარწერით: „მშვიდობით იყოს თქვენი მობრძანება“. საელჩოდგან იმპერატორი წავიდა გემით კუნძულებზე და საღამოს ცხრა საათზე დაბრუნდა საელჩოში, სადაც გამართული იყო სადილი. ქალაქის უფროსი, რომელიც სადილზე დაესწრო, თან ატარებდა „წითელის არწივის“ ორდენს, რომელიც გუშინ უბოძა იმპერატორმა.

**პეტერბურგი**. წირვის შემდეგ, რომელიც გარდახდილ იქმნა ლიუტერანთა ეკკლესიაში, იმპერატორი და პრინც ჰენრიხი ამალითურთ თერთმეტს საათზე წავიდნენ სასახლის ეკკლესიაში. აქვე მოვიდნენ ხელმწიფე იმპერატორი მემკვიდრითურთ, შემდეგ ხელმწიფე იმპერატრიცა. გერმანიის იმპერატორი მიეგება იმათ სასახლის შესავალში, სადაც მახლობლად იდგა იმის უდიდებულესობის „კონვოი“. ხელმწიფე იმპერატრიცა და იმპერატორი ვილჰელმი ერთად წავიდნენ ეკკლესიაში. იმათ გაჰყვნენ ხელმწიფე იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი, შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩი და უავგუსტოესნი ყმაწვილნი. მეორე შესავალში იმპერატრიცას მიეგება დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, რომელმაც შემდეგის სიტყვებით მიჰმართა იმათ უდიდებულესობათა: „პატივი მაქვს მივეგებო მონარქებს ტაძარსა შინა უფლისასა“. ყველა დიდი მთავრები ეკკლესიაში ელოდებოდნენ სამეფო სახლობას. წირვაზე სასახლის მგალობელთა გუნდმა აღასრულა კონცერტი. წირვის შემდეგ იმათ უმაღლესობათა გაიარეს დახურული პავილიონი და შევიდნენ სასახლის დარბაზში, სადაც საუზმე იყო გამართული. სასახლის წინ მუსიკას უკრავდა სასახლის მემუსიკეთა გუნდი. ცხენების ჰქნება და ჯირითი ხვალ იქნება „კრასნოე სელოში“.

11 ივლისი

**პეტერგოფი**. გუშინ, საღამოს ექვსს საათსა და ნახევარზე, პეტერგოფის დიდს სასახლეში გამართული იყო საპარადო სადილი. მოწვეულთა შორის იყვნენ გერმანიის ესკადრის უწარჩინებულესი ოფიცრები. ხელმწიფე იმპერატორმა ფრანგულს ენაზე ადღეგრძელა თავისი სეფე სტუმარი და მუსიკამ დაუკრა გერმანიული ჰიმნი. შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა ფრანგულსავე ენაზე ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და მუსიკამ დაუკრა რუსული სეროთო ჰიმნი. ნასადილევს ქვედა პარკი განათებული იყო ჩირაღდნებით. მათნი უდიდებულესობანი და სეფე სტუმარი ეტლით დასეირნობდნენ პარკში, სადაც ხალხი დიდის ამბით მიეგება. თერთმეტს საათზე გემებზე, რომელნიც იდგნენ რეიდზე, აუშვეს შუშხუნები. მას შემდეგ მათნი უდიდებულესობანი და გერმანიის იმპერატორი წავიდნენ კრასნოე სელოში, სადაც ცხენოსანი ჯარის მანევრები იქნება და ცხენის ჰქნებაცა.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

12 დღე სამშაბათი. წმ. იოანესი და გაბრიელისა, რომელსაც მე-X საუკ. დამლევს მიეცა ზღვაზე ივერიის ღვთის-მშობლის და ხატი. კათოლ. იოანესი. სომეხ. წინასწარმეტყ. დანიელისა და სამთა ყრმათა ანანიასი, აზარიასი და მისაელისა. მუსულ. მე-15 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26. მთვარე 16 დღისაა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.


## განცხადებანი

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

- ქართული გრამატიკა, შედ. მან. კაპ. გენიძე არ. ქუთათელაძესაგან . . . „ 40
- ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ . . . „ 15
- სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ჰ. კვიცარიძისა . . . » 40
- ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზის 1 ნაწ. . . . 1 50
- II ნაწ. . . . 1 50
- ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . „ 15
- ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა . . . „ 40
- ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . „ 30
- ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . „ 50
- საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . 3 „
- სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . 3 50
- ვაზის ობი . . . „ 10
- მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . „ 30
- ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა . . . 1 „
- საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . . . „ 40
- საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . „ 15
- გულივერის მოგზაურობა . . . „ 50
- ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . „ 30
- სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . „ 5

## კელერის დალმატური გვირილა

(რამაშკა)

ყველა სხვა ამ გვარ საშუალებაზე საუკეთესოა და მეტად კარგად ჰმოქმედებს დასახოცად რწყილებისა, აბანოს ჭიებისა და სხვ.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან, მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)

## კელერის ძმრის ესენცია

რა თქმა უნდა, მეტად კარგის თვისებისა უნდა იყოს

**კელერის ძმრის ესენცია**, რომ ამ ჟამად ისე ძალიან არის გავრცელებული. რასაკვირველია, კიდეც ამიტომ ვისურვებ, რომ ნამდვილის ჩემის, ე. ი.

**კელერის ძმრის ესენციის** მაგიერ საზოგადოებას პროვინციაში ყალბი არ შეაძლიონ, მით უმეტეს, რომ ამ ჟამად ძალიან მონდომებულნი არიან ზოგიერთი ვაჭრატონები იმის შეკეთებას. კარგის

**კელერის ძმრის ესენციის** მსმარებელთ სახეში უნდა ჰქონდეთ, რომ ამ ძმრის შემკეთებელს სულ სხვა აზრი აქვს, არა სახეირო მსყიდველისა და მხმარებლისათვის, და ამიტომაც გურჩევთ, რომ ამ ძმარის ყიდვის დროს

ფრთხილად იყვნენ.

რამდენადაც ვიცი, სხვებთან შედარებით ჩემი,

**კელერის ძმრის ესენცია** დღევანდლამდე ყველაზედ საუკეთესოა, იაფი და გემრიელი, და იმედიცა მაქვს, რომ დღეის შემდეგაც ასეთივე იქმნება. ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან, მოსკოვში რ. კელერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ц.)


Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე